დ ა ს კ ვ ნ ა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებთან, რომელთა თანახმადაც მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები სოციალური დახმარების და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.

დადგენილების პროექტი, ასევე, შესაბამისობაშია ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტთან, რომლის შესაბამისად ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს თუ მიღებულია ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი: *ბექა შენგელია*